# თამარ მეფე



თამარ მეფე ტახტზე 1179 წელს
გიორგი III აიყვანა თავის
თანამოსაყდრედ. 1184 წელს გიორგიIII
გარდაცვალების შემდეგ თამარი
ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას.



საქართველო სამჯერ უფრო დიდი იყო ვიდრე დღეს. ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა თამარს. ქალის მეფობა არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც უჩვეულო ამბავი იყო. მაგრამ თამარმა დაამტკიცა რომ შესანიშნავად შეეძლო სამეფოს გაძღოლა

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა ძლიერი მაჰმადიანური ქვეყანა რუმის სასულთნო. მისმა მმართველმა გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა.





რუმის სულთანმა შეურაწმყოფელი უსტარი გამოუგზავნა თამარს, დამორჩილებას სთხოვდა. ეს წერილი ელჩმა სამეფო კარზე ხმამაღლა წაუკითხა, ამის გამო სარდალმა ზაქარია მხარგრძელმა სილა გააწნა ელჩს.



1204 წ. რუქნ ად-დინმა რუმის სულთანმა მიიმხრო მეზობელი საემიროები და უზარმაზარი ჯარით საქართველოს მიადგა.  ამ ბრძოლაში  ქართველებს დარჩათ გამარჯვება.



თამარს სიცოცხლეშივე განადიდებდნენ, აქებდნენ მის სიბრძნეს , კაცთმოყვარეობას, ქველმოქმედებას, ლმობიერებას

თამარს  შოთა რუსთაველმა მიუძღვნა უკვდავი პოემა  „ვეფხისტყაოსანი“





იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებობს შოთა რუსთაველის ფრესკა.



მიხაი ზიჩის ილუსტრაცია.
შოთა რუსთაველი
უძღვნის „ვეფხისტყაოსანს“
თამარ მეფეს



თამარის დროს იყო მშვიდობა საქართველოში, ქვეყანა დასერილი იყო კარგად დაგებული გზებით, ქარვასლებით , თაღოვანი ხიდებით.

ბესლეთის ხიდი,ხიდის გარდიგადმო დღემდეა შემონახული ასომთავრული წარწერა.










ბეთანია



თამარი მფარველობდა და აშენებდა  ეკლესიებს: ბეთანია ,ერთაწმინდა ყინწვისი, ლურჯი მონასტერი,ტიმოთესუბანი,ქვათახევი, იკორთა, წულრულაშენი,ვარძია...





ყინწვისი




ვარძია





დავით გარეჯი ბერთუბნის ხატი





ვარძიის ფრესკა, თამარის ჯვარი





თამარის დროს იჭრებოდა სპილენძის ფული ქუთაისის და თბილისის ზარაფხანებში. თამარის ძეგლი ახალციხეში

 

თამარის დაკრძალვასთან დაკავშირებით ბევრი ლეგენდა არსებობს., რომ იგი გელათშია დაკრძალული,ასახელებენ სვანეთს, რაჭას, ვარძიას და იალბუზსაც კი.

ახლო აღმოსავლეთ- ისრაელი, პალესტინა,იორდანია, სირია, ლიბანი,თურქეთი, ერაყი, ირანი,ავღანეთი, დასავლეთ პაკისტანი.

ზარაფხანა-დაწესებულება სადაც ფულს ჭრიან

ქარვასლა- გზისპირა სასტუმრო



მეხუთე კლასი

თ. შანიძე